პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

სკკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და
სკკ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოს ორგანო.

КОММУНИСТ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 12 მარტი, 1943 წ. № 59 (6684). ფასი 20 კაპ.

ფართოდ გავშალოთ საგვიჯაციო-მასობრივი მუშაობა სოფლად

საკოლმეურნეო სოფელი უდიდეს პატრიოტულ აღფრთოვანებას განიცდის. სამამულო ომის ცეცხლში გამოწრთობილი წითელი არმია დიდი მხედართმთავრის ამხანაგ **სტალინის** ბრძნული ხელმძღვანელობით ზედიზედ აგდებს გამანადგურებელ დარტყმებს ჰიტლერელ ოკუპანტებს, ამარცხებს და დასავლეთისაკენ მიერეკება მათ მძარცველურ ურდოებს. საბჭოთა ხალხის სამამული ომი გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ თავისი განვითარების ახალ, გადამწყვეტ მომენტში შევიდა. დაიწყო საძულველი და ვერაგი მტრის მასობრივი განდევნა საბჭოთა მიწა-წყლიდან.

სამამულო ომის ფრონტზე მოპოვებული გრანდიოზული გამარჯვებებით აღფრთოვანებული საქართველოს კოლმეურნეები მრავალმხრივ ინიციატივას იჩენენ ფრონტისადმი დასახმარებლად და გაათკეცებული ენერგიით მუშაობენ იმისათვის, რომ უხვი სამხედრო მოსავალი მისცენ სამშობლოს მიმდინარე წელს.

საკოლმეურნეო სოფელი საგაზაფხულო თესვისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ჩატარების გადამწყვეტ პერიოდში შევიდა. ცოტა ხნის შემდეგ საქართველოს მთელ რიგ რაიონებში მასობრივად დაიწყება საგაზაფხულო თესვა. ეს გარემოება პოლიტიკურ-მასობრივი მუშაობის შემდგომ გაფართოებას და გაუმჯობესებას მოითხოვს. ბოლშევიკური აგიტაციის ამოცანას სოფლად შეადგენს ყოველდღიურად გააცნოს კოლმეურნეთა ფართო მასებს სამამულო ომით შექმნილი ვითარება, გულდასმით აუხსნას მათ პარტიისა და მთავრობის ღონისძიებანი მოსავლიანობის გადიდებისათვის, სათავეში ჩაუდგეს სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღებას კოლმეურნეობებსა და მტს-ებში, საკოლმეურნეო ბრიგადებსა და რგოლებში, დარაზმოს მასები საგაზაფხულო სამუშაოების მინიმალურ ვადებში მაქსიმალურად მაღალ დონეზე შესრულებისათვის.

საგაზაფხულო თესვასთან დაკავშირებით საქართველოს მთელ რიგ რაიონებში მოწყობილია აგიტბრიგადები, რომელნიც უკვე გავიდნენ კოლმეურნეობებში და პრაქტიკულ დახმარებას უწევენ მათ თესვისათვის ყოველმხრივ მომზადებაში. ხაშურის პარტრაიკომის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა აგიტბრიგადა, რომელშიც შედიან პარტიული მუშაკები, აგრონომები, ექიმები და საფინანსო დარგის მომუშავენი. ისინი უმთავრესად მომსახურებას უწევენ რაიონის შორეული ზონის სასოფლო საბჭოებში (წრომის, ღუდის, წაოვლის და სხვ.) შემავალ კოლმეურნეობებს. აგიტბრიგადის წევრებმა 17 კოლმეურნეობაში ჩაატარეს ლექციები, საუბრები პოლიტიკურ, აგროტექნიკის და სხვა საკითხებზე. ბრიგადის მუშაობა ეფექტურია და ეხმარება კოლმეურნეებს თესვისათვის უკეთესად მომზადების საქმეში.

სოფლად პოლიტიკურ-მასობრივი მუშაობის გაუმჯობესებასა და გაძლიერებაში სერიოზულ როლს ასრულებს მტს-ის პოლიტგანყოფილება. თბილისის რაიონის. მტს-ის ზოგიერთ ბრიგადებში პოლიტიკური აგიტაცია მაღალ დონეზე დგას. ტრაქტორების ზამთრის რემონტის პერიოდში ქმედით აგიტაციას ეწეოდა მტს-ის № 7 ბრიგადის ბრიგადირი აგიტატორი ალ. ნიკოლეიშვილი. მან დარაზმა ბრიგადის წევრები და ტრაქტორების რემონტის გეგმა ვადაზე 20 დღით ადრე შეასრულა. ასევე კარგად მუშაობდა №3 ბრიგადის აგიტატორი ნ. ოსიყმაშვილი.

მაგრამ სააგიტაციო-მასობრივ მუშაობაში ჯერ კიდევ სერიოზულ ნაკლოვანებებს ვხვდებით. ყველა კოლმეურნეობა და ბრიგადა არ არის აგიტატორებით უზრუნველყოფილი. აგიტკოლექტივები ყველგან სათანადოდ ვერ ეხმარებიან აგიტატორებს, სასოფლო სამკითხველოები სათანადოდ არ ზრუნავენ საჭირო გაზეთების, ბროშურების და პლაკატების შეძენისათვის. მთელ რიგ შემთხვევებში თვალსაჩინო აგიტაცია დამაკმაყოფილებლად ვერ არის დაყენებული და საგაზეთო ვიტრინები მოუწესრიგებელია.

სამტრედიის რაიონის სოფ. ნაჩხეტაურის კოლმეურნეობაში აგიტატორები ქარჩილაძე და ნიკურაძე სუსტად იბრძვიან შრომის დისციპლინის განმტკიცებისთვის, საკმაოდ არ ზრუნავენ კოლმეურნეთა შორის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღებისათვის.

აგიტატორის მოვალეობაა ყოველმხრივ დაეხმაროს კოლმეურნეებს თესლის მომზადებაში, მუშა პირუტყვის უკეთესად მოვლა-შენახვაში. ხაშურის რაიონის ზოგიერთ სოფლებში (ქვიშეთი, ტეზერი, ხიდისყური და სხვ.) მუშა პირუტყვს ცუდად ჰკვებავენ და სათანადოდ არ უვლიან, ხოლო აქ მომუშავე აგიტატორები დაუშვებელ უდარდელობას იჩენენ ამ საქმეში.

უახლოეს დროში ფართოდ გაჩაღდება საგაზაფხულო თესვა. მთელი პოლიტიკურ-მასობრივი მუშაობა სოფლად გადატანილ უნდა იქნას მინდვრად სკოლმეურნეო და სატრაქტორო ბრიგადებში—იქ, სადაც პრაქტიკულად ხორციელდება სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები. რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა და მტს-ის პოლიტგანყოფილებებმა გადაჭრით უნდა გააუმჯობესონ საგიტაციო-მასობრივი მუშაობა კოლმეურნეთა შორის. ბოლშევიკური აგიტაციის მრავალი ფორმიდან უნდა შევარჩიოთ ისეთები, რომელნიც ყველაზე უფრო ეფექტურად მოცემულ პირობებში. მიმდინარე მომენტის საკითხებზე მოხსენებებსა და ლექციებთან ერთად საკოლმეურნეო მასებში სისტემატურად უნდა ტარდებოდეს ჯგუფური და ინდივიდუალური საუბრები, გაზეთების კითხვა, რადიოს მოსმენა, კინოსურათების ჩვენება და სხვ. აგიტატორებმა დაუგვიანებლად უნდა გააცნონ კოლმეურნეებს საინფორმაციო ბიუროს ცნობები, „უკანასკნელ საათს“ და სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები ჩვენი ქვეყნის ცხოვრებასა და საერთაშორისო ურთიერთობაში. პარტრაიკომებმა და რაიაღმასკომებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ გაზეთებით, სააგიტაციო ფურცლებით და ბროშურებით საბჭოთა მეურნეობების, მტს-ების, კოლმეურნეობების, ქოხ-სამკითხველოების და აგიტატორების უზრუნველყოფის საქმეს. რაიკომებმა და პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა დროულად უნდა გადასინჯონ და შეავსონ აგიტატორთა კადრი კოლმეურნეობებში, მტს-ებში, საბჭოთა მეურნეობებში. კომკავშირის რაიკომებმა რაიონული პარტორგანიზაციების ხელმძღვანელობით და დახმარებით ფართოდ უნდა ჩაბან კომკავშირელები სააგიტაციო საქმიანობაში და მთავარი ყურადღება მიაქციონ მათი მუშაობის ხარისხობრივად გაუმჯობესებას.

აგიტატორებმა კოლმეურნეთა მასებს გულდასმით უნდა გააცნონ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება 1943 წლის მინდვრის სამუშაოებისათვის მტს-ების ტრაქტორებისა, კომბაინებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების მომზადების შესახებ, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილება საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისათვის მზადების შესახებ.

საქართველოს კოლმეურნეები ეცნობიან და მხურვალედ ეხმაურებიან ქობულეთის და ლაგოდეხის რაიონების სოფლის მეურნეობის მოწინავე მუშაკების მიმართვას სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ. აგიტატორების მოვალეობაა სათავეში ჩაუდგნენ და ყოველმხრივ შეუწყონ ხელი კოლმეურნეთა მასებში სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღებას სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ხანმოკლე ჩატარებისათვის, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის.

პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების მოვალეობაა სოფლად პოლიტიკური აგიტაცია მასებში ზუსტად შეუფარდონ საგაზაფხულო თესვის წარმატებით ჩატარებას, რაც უდიდეს სამხედრო-სამეურნეო ამოცანას წარმოადგენს. სარაიონო გაზეთებმა სისტემატურად უნდა გააშუქონ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მსვლელობა, სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობა, აჩვენონ მოწინავეთა გამოცდილება და ამხილონ ჩამორჩენილები.

გმირი წითელი არმია საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ **სტალინის** მხედართმთავრობით ბრწყინვალედ ასრულებს თავის ისტორიულ მისიას და სწმენდს საბჭოთა მიწა-წყალს ფაშისტური სიბილწისაგან. მაშ, ფართოდ გავშალოთ სააგიტაციო-მასობრივი მუშაობა სოფლად მიმდინარე წელს უხვი სამხედრო მოსავლისათვის და დაეხმაროთ ფრონტს საძულველი მტრის საბოლოო განადგურებაში.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სამკერდე ნიშნის „წარჩინებული მზვერავი“ დამტკიცების შესახებ

წითელი არმიის მზვერავთა რიგითი და უმცროს მეთაურთა შემადგენლობის რიცხვიდან თავგამოჩენილ პირთა წახალისების მიზნით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დამტკიცდეს წითელი არმიის რიგითი და უმცროს მეთაურთა შემადგენლობისათვის ნიშნად სამკერდე ნიშნისა **„წარჩინებული მზვერავი“.**

2. დამტკიცდეს დებულება სამკერდე ნიშნისა **„წარჩინებული მზვერავი“.**

3. დაწესდეს ტარება სამკერდე ნიშნისა **„წარჩინებული მზვერავი“** მკერდის მარჯვენა მხარეზე.

4. სამკერდე ნიშნით **„წარჩინებული მზვერავი“** დაჯილდოების უფლება მიეცეთ ფრონტებისა და არმიების ჯარების სარდლებს, კორპუსის, დივიზიის (ბრიგადების), პოლკებისა და ბატალიონების (დივიზიონების) მეთაურებს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1943 წ. 10 მარტი.

აღწერილობა

სამკერდე ნიშნისა „წარჩინებული მზვერავი“

სამკერდე ნიშანი წარმოადგენს ფიგურულ ფარს, დადებულს მოოქრულ მუხის ფოთლის გვირგვინზე, რომლის შტოები, ლალისფერ-წითელი ლენტით შემოვლებული, კიდეებზე გამოდის. ფარის ზედაპირი დაფარულია ლალისფერ-წითელი მინანქრით, კიდეებს კი შემოვლებული აქვს ოქსიდირებული ზოლი, რომელზეც სიმეტრიულად არის განლაგებული წერტილები. ფარის ზემო ნაწილში ზოლი წრეულ კაჭულობად იქცევა.

ნიშნის ზემო ნაწილში ფარზე დადებულია ლალისფერ-წითელი მინანქრით დაფარული ბრგვალი ფირფიტა, რომლის შუაგულშიც არის ნამგლისა და ჩოქის მოოქროული გამოსახულება. ფირფიტას კიდეებზე აქვს თეთრი მინანქრის სარტყელი ოქროს ასოებით გაკეთებული წარწერით: **„წარჩინებული მზვერავი“.** თეთრი მინანქრის სარტყელს კიდეებზე აქვს მოოქროული რკალურა, ხოლო ქვემო ნაწილში ხუთქიმიანი ვარსკვლავი.

ფარის ქვემო ნაწილში არის გამოსახულება გადაჯვარედნებული ავტომატისა და შაშვი ხმლისა და მათს ქვეშ მდებარე ბინოკლისა.

ნიშანი ლითონისაა; ნიშნის ოდენობა ვერტიკალით 46 მილიმეტრია, სიგანით კი—37 მილიმეტრი.

მეორე მხარეზე ნიშანს აქვს ქანჩიანი კუთხვილი შტიფტი ტანსაცმელზე ნიშნის მისამაგრებლად.

მოსკოვი, კრემლი

ამხანაგ სტალინს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

სანამ ჰიტლერული გერმანია ვერაგულად დაესხმოდა თავს ჩვენს წმიდათა-წმიდა სამშობლოს, მე რიგითი კოლმეურნე ქალი ვიყავი. სამამულო ომის დღეებში ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარე წითელი არმიის რიგებში გაიწვიეს მობილიზაციით, ხოლო მის მაგივრად კოლმეურნეობის თავმჯდომარედ მე ამირჩიეს. ცხრამეტი თვის განმავლობაში ხელმძღვანელობას ვუწევ კოლმეურნეობას. ჩვენი კოლმეურნეობა ერთი პირველთაგანია რაიონში, რომელმაც ყველა ვალდებულება შეასრულა სახელმწიფოს წინაშე. სურვილი მაქვს დავეხმარო ჩვენს საყვარელ წითელ არმიას, რომ რაც შეიძლება მალე გაანადგუროს ფაშისტები, და ამიტომ სახელმწიფო ბანკში შევიტანე 50.000 მანეთი ტანკების ასაგებად.

საქართველოს სს რესპუბლიკის ახალქალაქის რაიონის სოფელ ბუზავეთის გოგლიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე
არწვიკ აკოფის-ასული ბიჩეხჩიანი

საქართველოს სს რესპუბლიკა. ახალქალაქის რაიონი. სოფელი ბუზავეთი. გოგლიძის სახელობის კოლმეურნეობა

კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამხ. არწვიკ აკოფის-ასულ ბიჩეხჩიანს

გმადლობთ, ამხანაგო ბიჩეხჩიან, წითელი არმიის ჯავშანსატანკო ძალებზე თქვენი ზრუნვისათვის.

მიიღეთ ჩემი სალამი და წითელი არმიის მადლობა.

ი. სტალინი

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

11 მარტის დილის ცნობა

10 მარტის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს წინანდელი მიმართულებებით.

• • •

გუატკის დასავლეთით ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ. ერთი დასახლებული პუნქტის რაიონში გერმანელები კონტრშეტევაზე გადმოვიდნენ. 6 ნაწილის მებრძოლებმა კონტრდარტყმით უკუაგდეს ჰიტლერელები, ავალდაკვალ შეჰყვნენ მოწინააღმდეგეს დასახლებულ პუნქტში და დაიკავეს იგი. ხელთ ვიგდეთ 8 ქვემეხი, 12 ტყვიამფრქვევი და ერთი საწყობი საომარი მასალა. ტემკინოს დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით, ღამის ბრძოლების შედეგად, დავიკავეთ რამდენიმე დასახლებული პუნქტი, მათ შორის რკინიგზის სადგური ისაკოვო.

• • •

ხარკოვის სამხრეთით ჩვენი ჯარები გაეფთრებულ ბრძოლებს ეწეოდნენ მტრის რიცხვობრივად ჭარბი ძალების წინააღმდეგ. ჩვენი მებრძოლნი დიდ დასახლებულ პუნქტში გარს შემოერტყნენ გერმანელ მეავტომატეთა ბატალიონს და ტანკების დიდ ჯგუფს. ჩვენმა ქვეგანაყოფებმა, რომელთაც თანდათან შეამჭიდროეს ალყა, მოსპეს 15 ტანკი და გაჟლიტეს 400-მდე ჰიტლერელი.

• • •

დონის როსტოვის დასავლეთით ერთ უბანზე გერმანელებმა იერიში მოიტანეს ჩვენს პოზიციებზე, მაგრამ უკუგდებულ იქნენ ყველა სახის იარაღის ცეცხლით. ბრძოლის ველზე მტერმა 100-ზე მეტი მოკლული დასტოვა. თოფ-ტყვიამფრქვევით ჩამოგდებულია გერმანელთა 2 თვითმფრინავი.

• • •

ლგოვის დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა ერთი რკინიგზის სადგურისათვის ბრძოლაში 300-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი გაჟლიტეს. მოწინააღმდეგეს წაგართვეთ 2 ტანკი, 6 ქვემეხი, 19 ტყვიამფრქვევი და 14 ავტომანქანა სხვადასხვა ტვირთი. სხვა უბანზე ჩვენი მზვერავები მოწინააღმდეგის ზურგში შეიპარნენ და ცეცხლი წაუკიდეს რკინიგზის შემადგენლობას, რომელიც საწვავით იყო დატვირთული. დაიწვა 8 ცისტერნი და რამდენიმე ვაგონი.

• • •

კალინინის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედი პარტიზანული რაზმი მარტის დამდეგს თავს დაესხა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა გარნიზონს და 30 ჰიტლერელი გაჟლიტა. პარტიზანებმა ხელთ იგდეს დავლა, გარდა ამისა, მეცხოვრები დაუბრუნეს გერმანელების მიერ მოსახლეობისათვის წართმეული ცხენები და ძროხები. სხვა რაზმის პარტიზანებმა რკინიგზის ხიდი ააფეთქეს. რკინიგზის ამ უბანზე მატარებლების მიმოსვლა შეწყვეტილია.

• • •

თებერვალში ორიოლის ოლქის ქალაქ უნეჩაში გერმანელთა ბადრაგით ჩაეიდა ორი ესესელი იტალიელი ჯარისკაცებისა, რომელთაც უარი განაცხადეს იომონ რუსეთში. გერმანელები ყოველნაირად აბუჩად იგდებდნენ და სცემდნენ თავიანთ „მოკავშირეებს“. მეორე დღეს ჰიტლერელებმა იტალიელ ჯარისკაცთა ჯგუფი გადაარჩიეს და ქალაქის მოედანზე ჩამოახრჩეს.

• • •

გერმანელმა ფაშისტმა არამზადებმა მათ მიერ ოკუპირებული რაიონებიდან ათასობით საბჭოთა ადამიანი გაირეკეს გერმანიაში კატორღულ სამუშაოზე. ჰიტლერელებმა ბევრი რუსი, უკრაინელი და ბელორუსი საკონცენტრაციო ბანაკებში გამოამწყვდიეს, ზოგი კი მონებად მისცეს კულაკებსა და მემამულეებს. აი, რასა სწერს თავის დედას, ნაუმცევას, ვოროშილოვგრადის ოლქის ქალაქ როვენკში მისი ქალაშვილი, რომელიც გერმანელთა მონობაში ჩავარდა: „საყვარელო დედიკო! ვცხოვრობ ბატონთან. ოჯახი პატარაა; ორნი არიან და ერთი შვილი ჰყავთ, მაგრამ სამუშაო ყველამდე მაქვს; დილის 5 საათზე ვდგები და მხოლოდ ღამის 10 საათზე ვწვები. მთელი ამ ხნის განმავლობაში მარტო ერთხელ გამიშვეს კვირაღამით ჩვენებთან ბანაკში. რომ დავბრუნდი, ნახევარი საათით დამიგვიანდა. დედა, რომ იცოდე, როგორა მცემა ჩემმა ბატონმა სახეში, თმა დამაგლიჯა. ეს ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება. რა ვქნა? შინ არ მიშვებენ, მტის ატანა კი აღარ შემიძლია. ყოველდღე ვტირი და, ალბათ, ერთადერთი გამოსავალი მაქვს — თავი მოვიკლა. დედავ, საყვარელო, თუ გინდა ცოცხალი მნახო, დამიხსენი ამ მონობიდან. თუ ცოცხალი გადავრჩი, მადლობას გადაგიხდი“.

ფაშისტ მონსამფლობელებს სურთ ამ ადამიანთა ოფლითა და სისხლით იცხოვრონ, რომლებიც ძალით გაიწიკეს გერმანიაში კატორღულ სამუშაოზე. მაგრამ საბჭოთა ადამიანებს ისინი მონებად ვერ გახდიან. ფაშისტი არამზადები თავიანთი სისხლით აგებენ პასუხს მშვიდობიანი საბჭოთა მოქალაქეების მთელი ტანჯვისთვის.

• • •

ჰიტლერელთა სასტიკი ტერორის მიუხედავად, გერმანელ ოკუპანტთა წინააღმდეგ ჰოლანდიელ პატრიოტთა ბრძოლა ერთი წუთითაც არ სწყდება. როტერდამში შეიფარეცულ ჰოლანდიელთა ჯგუფი თავს დაესხა საჰაერო თავდაცვის გერმანელთა სგუშაგოს, 9 ჰიტლერელი მოჰკლა და მწყობრიდან გამოიყვანა საზენიტო ქვემეხი. დღისით ქუჩაში რეგოლვერით მოჰკლეს გერმანელი საზღვრო ოფიცერი. ჰაგაში პატრიოტებმა ბომბი შეაგდეს გერმანელთა ნაწილის შტაბში.

11 მარტის საღამოს ცნობა

11 მარტის განმავლობაში ჩვენი ჯარები ბრძოლებს ეწეოდნენ წინანდელი მიმართულებებით.

• • •

10 მარტს ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპეს ან დაზიანეს გერმანელთა სულ ცოტა 10 ტანკი და ჯავშნიანი მანქანა, 150-მდე ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, ჩაახშეს 8 საარტილერიო ბატარეის ცეცხლი და ააფეთქეს მოწინააღმდეგის 2 საწყობი საომარ მასალიანად.

• • •

სიჩოვკის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა მტრის შეუპოვარი წინააღმდეგობა სძლიეს და დაიკავეს რამდენიმე ათეული დასახლებული პუნქტი, მათ შორის რაიონული ცენტრი ანდრეევსკოე. ჩვენმა ჯარებმა მოსპეს 14 ქვემეხი, 20 ნაღმსატყორცნი, 100-ზე მეტი ტყვიამფრქვევი და მოწინააღმდეგის 2.000-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი. არასრული ცნობებით, მათ ხელთ იგდეს გერმანელთა 14 ტანკი, 8 ქვემეხი, 25 ნაღმსატყორცნი, 42 ტყვიამფრქვევი, 500-ზე მეტი შაშხანა, 2 საწყობი საომარ მასალიანად და სხვა დავლა.

• • •

ქალ. ბელის სამხრეთით ჩვენი ჯარები შეტევას ანვითარებდნენ და 16 დასახლებული პუნქტი დაიკავეს. მოსპობილია 600-ზე მეტი ჰიტლერელი. წამოღებულია დავლა და წამოყვანილია ტყვეები. ერთ უბანზე მოწინააღმდეგემ სცადა ერთ ბატალიონამდე ქვეითი ჯარის ძალებით მოეტანა კონტრიერიში ჩვენს შემტევს ქვეგანაყოფებზე. მოწინააღმდეგე უკუგდებულ იქნა კონტრდარტყმით. ჩვენი მებრძოლნი კვალდაკვალ სდევნიდნენ ჰიტლერელებს და ერთ დასახლებულ პუნქტში შეეჭრნენ. ხელჩართული ბრძოლის შემდეგ სოფელი გაწმენდილ იქნა გერმანელებისაგან.

• • •

ხარკოვის დასავლეთით ჩვენი ჯარები მოწინააღმდეგის ძლიერ იერიშებს იგერიებდნენ. დიდი ზარალის მიუხედავად, ჰიტლერელებს სულ ახალ-ახალი ნაწილები გადმოჰყავთ და ცდილობენ რადაც უნდა დაუჯდეთ გამოიჭრან ქალაქისაკენ. ბრძოლები გააფთრებულ ხასიათს ატარებს. ჩვენი ნაწილები მედგრად იგერიებენ ზედიზედ მოწინააღმდეგის იერიშებს. გერმანელთა ერთ ბატალიონზე მეტი ქვეითი ჯარი 15 ტანკის დახმარებით უტევდა სოფელს, რომელსაც იცავდა ოცეული უფროს ლეიტენანტ შერონინის მეთაურობით. ჩვენი მებრძოლების ჯგუფმა უთანასწორო ბრძოლაში ტანკსაწინააღმდეგო ზარბაზნით მოსპო გერმანელთა 7 ტანკი და გაჟლიტა 100-მდე ჰიტლერელი. როცა ზარბაზანი ნწყობრიდან განოვიდა, მებრძოლებმა მოწინააღმდეგეს კიდევ 3 ტანკი დაუზიანეს გრანატებით. 6 შენაერთის უბანზე გაჟლეტილია 700-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, მოსპობილია მტრის 11 ტანკი, 4 თვითმავალი ქვემეხი და 20 ავტომანქანა.

• • •

ყუბანში ჩვენი ჯარები შეტევითს ბრძოლებს განაგრძობდნენ და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს. რაიონულ ცენტრ კრასნოარმეისკაიას აღებისას საბჭოთა ქვეგანაყოფებმა 400-ზე მეტი ჰიტლერელი გაჟლიტეს და ხელთ იგდეს 315 ავტომანქანა, 8 საწვავარი, 570 სარკინიგზო ვაგონი, 17 ორთქლმავალი, ბევრი საჭურველი და საომარი მასალა.

ჩვენმა მებრძოლებმა საჰაერო ბრძოლებში ჩამოაგდეს გერმანელთა 15 თვითმფრინავი. გარდა ამისა, მოწინააღმდეგის ერთი თვითმფრინავი საბჭოთა მეზენიტეებმა მოსპეს.

• • •

სმოლენსკის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედი პარტიზანული რაზმი თავს დაესხა დიდ დასახლებულ პუნქტში დაბანაკებულ გერმანელთა გარნიზონს. საბჭოთა პატრიოტებმა 100-ზე მეტი ჰიტლერელი ჟაჟლეტეს. სხვა რაზმის პარტიზანებმა ლიანდაგიდან გადააგდეს გერმანელთა 4 სარკინიგზო ეშელონი. მარცხის შედეგად დაიმტვრა 4 ორთქლმავალი, 42 ვაგონი და 9 პლატფორმა, რომლებითაც ფრონტზე გადაჰყავდათ გერმანელი ჯარისკაცები და გადაჰქონდათ საბრძოლო ტექნიკა.

• • •

ტყვედ წამოყვანილმა გერმანიის 337-ე ქვეითი დივიზიის 690-ე პოლკის მე-6 ასეულის ეფრეიტორმა ედმუნდ ფიშერმა განაცხადა: „ჩვენი ასეულის მეთაურმა, ობერ-ლეიტენანტმა გრეფემ გამოაცხადა დივიზიის მეთაურის ბრძანება, რომელშიც ნათქვამი იყო შემდეგი: „თუ პოლკი იძულებული გახდება უკან დაიხიოს, დაკავებული პოზიციებიდან, აუცილებლად უნდა დასწვას მთელი დასახლებული პუნქტები და მოსპოს ყველაფერი, რის მოსპობაც კი შესაძლებელია. დასატოვებელი ქალაქებისა და სოფლების სამოქალაქო მოსახლეობა ძალით უნდა იქნას ევაკუირებული ზურგში. ვინც წინააღმდეგობას გასწევს, დაუნდობლად უნდა იქნას მოსპობილი“. ტყვედ წამოყვანილმა გერმანიის მე-5 სატანკო დივიზიის გრენადერთა მე-14 პოლკის მე-5 ასეულის ჯარისკაცმა ფრანცშეკ გმუზდეკმა განაცხადა: „გერმანელი ხელისუფლები ფრონტის ცენტრალურ უბანზე ცდილობენ ძალით მოახდინონ მთელი სამოქალაქო მოსახლეობის ევაკუაცია. ვიაზმის რაიონში მე ვნახე დიდძალი მოხუცი, ქალი და ბავშვი, რომელნიც გერმანელ ჯარისკაცთა ბადრაგით მიდიოდნენ. სოფლებში მოთქმა და ტირილი გაისმის. ერეკებიან უკლებლივ ყველას. სმოლენსკში არის შესაკრები პუნქტი ევაკუირებულ რუსთათვის. ამ უზარმაზარ ბანაკს შემოვლებული აქვს ეკლიანი მავთული და გაძლიერებით იცავს ჯარი და პოლიცია“.

პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმში

პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე, რაც 11 მარტს შესდგა, განიხილეს ამხ. ნ. მ. შვერნიკის მოხსენება 1943 წელს ინდივიდუალური და კოლექტიური მებოსტნეობის შემდგომი განვითარების დარგში პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობის შესახებ.

კამათში გამოსული აკადემიკოსი ტ. დ. ლისენკო შეჩერდა ბოსტნების დამუშავების მეთოდებზე, კარტოფილისა და ბოსტნეულის ადრეულ ნაადრევად ქალაქების მიწების — სკვერებისა და ეზოების მაქსიმალურ გამოყენებაზე, დაარგავად კარტოფილის ტუბერის წვეროების უფრო ფართოდ გამოყენებაზე.

ამხ. შვერნიკის მოხსენების გამო მიღებულია დადგენილება და დამტკიცებულია „დებულება მუშათა და მოსამსახურეთა ინდივიდუალური და კოლექტიური მებოსტნეობის ხელშეწყობა კომიტეტის შესახებ“. კომიტეტის თავმჯდომარედ დამტკიცებულია პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს მდივანი ამხ. კ. ი. ნიკოლაევი. (საკდესი).

საუკეთესოდ მოვამზადოთ მანქანები, თესლი, ცოცხალი გამწევი ძალა თესვისათვის

ვიკისრეთ ახალი ვალდებულებანი

დუშეთი (ტელეფონით). დუშეთის მტს-მა ტრაქტორების რემონტის გეგმა ვადაზე 5 დღით ადრე შეასრულა, შეაკეთა 31 ტრაქტორი, დამთავრებულია ავრეთვე მისაბმელი მანქანა-იარაღების რემონტი. შეკეთებულია 25 გუთანი, 30 ფარცხი, 8 საოში, 7 კულტივატორი და 7 სათესი მანქანა. გარდა ამისა, მტს-ის სახელოსნოში შეაკეთეს კოლმეურნეობების 52 გუთანი. მტს-ს მომარაგებული აქვს 32 ტონა საწვავი მასალა.

ტრაქტორების რემონტზე თავი ისახელა კომკავშირულმა ბრიგადამ (ბრიგადირი ა. ხუბაშვილი) და ტრაქტორისტებმა: ი. ჩანდირმა, ლ. წითაიძემ, ვ. პირმისაშვილმა, ი. ეგანაშვილმა და სხვებმა.

მტს-ის № 5 და № 6 ბრიგადებმა უკვე დაიწყეს საგაზაფხულო ხვნა. მოხნულია 50 ჰექტარი.

მტს-ის მუშაკები ახალი შრომითი აღმავლობით შეხვდნენ სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას 1943 წლის მინდვრის სამუშაოებისათვის მტს-ების ტრაქტორებისა, კომბაინებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების მომზადების შესახებ. ამ დადგენილების პასუხად ფართოდ გაშლილ სოციალისტური შეჯიბრებაში. მტს-ს ტრაქტორისტმა ალ. ... ...

ᲓᲔᲙᲐᲜᲘᲡᲘ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲔᲚᲘ ᲔᲠᲩᲘᲡ Ბ-Ნ ᲡᲢᲔᲜᲓᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲮᲛᲐᲣᲠᲔᲑᲐ ᲐᲛ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ Ა. Შ. ᲨᲒᲐᲒᲔᲑᲨᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 9 მარტი (საკდესი). როგორც ასოშეიეტედ პრესის საგენტოს მოსკოველი კორესპონდენტი იუწყება, ამერიკის შეერთებული შტატების მოსკოველმა ელჩმა სტენდლიმ ამერიკელ კორესპონდენტებს განუცხადა, რომ, როგორც ის ფიქრობს, რუს ხალხს არ ეძლევა ინფორმაცია რუსეთისადმი ამერიკის დახმარების შესახებ. „მე ყურადღებით ვეძებდი, რუსულ პრესაში, — განაცხადა სტენდლიმ, — ცნობებს იმის შესახებ, რომ რუსებს ეძლევათ მატერიალური დახმარება ამერიკიდან, მაგრამ ვერავითარი ნამდვილი აღიარება ამისა ვერა ვპოვე“.

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 9 მარტი (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოვალეობის აღმასრულებელმა უელესმა დღეს პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ მან სტენდლის გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც წინადადებას აძლევს წარუდგინოს სახელმწიფო დეპარტამენტს პრესის წარმომადგენლებისათვის გაკეთებული თავისი განცხადების ტექსტი. მაგრამ სტენდლისაგან პასუხი ჯერ კიდევ არ არის მიღებული. უელესმა შემდეგ აღნიშნა: მსურს სრული სიცხადე შევიტანო იმაში, რომ სტენდლის მიერ ეს განცხადება გაკეთებულია ამერიკის მთავრობასთან წინასწარი კონსულტაციის მოუხდენლად და მის დაუმოწმებლად. უელესმა განაცხადა, რომ ურთიერთგაგება, რაც არსებობს გაერთიანებულ ერებს შორის იმ დიდ საქმეში, რომლის განსახორციელებლადაც ისინი გაერთიანდნენ, რათა საბოლოოდ გაანადგურონ ლერძის სახელმწიფოთა ტირანია და უზრუნველჰყონ გაერთიანებული ერების ხალხთა უშიშროება და თავისუფლება, არაფერი არ ეღირებოდა, იგი რომ ყველა გაერთიანებული ერის სრულ ნდობასა და გაგებაზე არ იყოს დამყარებული. უელესის აზრით, ასეთი გაგება და ნდობა არსებობს, და ის საკმაოდ დარწმუნებულია, რომ ყველაფერი, რაც შეეძლო ეთქვა ულ სტენდლის, მიზნად ისახავდა არა ეჭვების გამოწვევას, არამედ, პირიქით, იმას, რომ გაეფანტა ყოველგვარი ეჭვი ამ ნდობისა და გაგების არსებობაზე.

წარმომადგენელთა პალატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ ბლუმმა სახელმწიფო დეპარტამენტთან კონსულტაციის შემდეგ წარმომადგენელთა პალატაში განაცხადა, რომ სტენდლის გამოსვლა „მეტად უხეიროა“. „რუსული გაზეთების შესწავლით, — განაცხადა ბლუმმა, — ჩვენ გამოვარკვიეთ, რომ ისინი მთლიანად აქვეყნებდნენ ცნობებს რუსეთისადმი ამერიკის სამხედრო დახმარების შესახებ. საბჭოთა პრესამ 23 იანვარს მთლიანად გამოაქვეყნა საუბრელის ხესხად ან იჯარით გადაცემის კანონის განხორციელების საქმის რწმუნებულის სტატინიუსის განცხადება, რომელიც ეხება ამერიკის დახმარებას საბჭოთა კავშირისადმი, ვფიქრობ, რომ ცნობები რუსეთისადმი ჩვენი დახმარების შესახებ მთლიანად ქვეყნდება რუსეთში“.

ამერიკის შეერთებული შტატების სენატის საგარეო საქმეთა კომისის თავმჯდომარემ კონელიმ სენატში განაცხადა, რომ სტენდლის გამოსვლა „მეტისმეტად უხეიროა“. კონელიმ აღნიშნა, რომ რუს ხალხი ინფორმირებულია ამერიკის დახმარების შესახებ.

უილკიმ გააკეთა განცხადება, რომელშიც აღნიშნა, რომ „მკვახე და მოუფიქრებელ განცხადებებს შეუძლიათ მხოლოდ ხიანი მოგვაყენონ“. „არავის არ ეიცნობ ამერიკაში ისეთი ვინმეს, — სთქვა უილკიმ, — ვისაც სურს ღალატოს რუსეთს ამჟამად ან მომავალში. ჩემთვის უცნობია აგრეთვე, რუსეთში ვინმემ ჩემთვის ან სხვისთვის, რომ ჩვენ მას დახმარებას ვუწევთ მასალებით და ვიბრძვით სხვა ფრონტებზე“.

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 10 მარტი (საკდესი). იუნაიტედ პრესის საგენტოს კორესპონდენტი, კომენტარს უკეთებს რა უელესის განცხადებას პრეს-კონფერენციაზე, აღნიშნავს, რომ, როგორც უელესმა განაცხადა, ის კმაყოფილი არ არის სტენდლის გამოსვლით. ნიუ-იორკის გაზეთებმა უელესის მიერ პრესის წარმომადგენლებისათვის გაკეთებული განცხადება გამოაქვეყნეს სათაურებით, რომლებშიც ეს განცხადება შეფასებულია, როგორც სტენდლის გამოსვლის დეზავუირება. პრესა ფართოდ აქვეყნებს აგრეთვე უილკის განცხადებას და წარმომადგენელთა პალატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარის ბლუმის განცხადებას. ვაშინგტონელი კორესპონდენტები აღნიშნავენ, რომ სახელმწიფო დეპარტამენტმა განაკუთრებული ნაბიჯი გადადგა, ნება დართო რა, გამოექვეყნებინათ სტენდლის გამოსვლისა, კონფერენციაზე უელესის გამოსვლისა, რომელშიც მან გადაჭრით გაუსვა ხაზი სტენდლის ოფიციალურად გაკიცხვას.

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 10 მარტი (საკდესი). ასოშეიტედ პრესის საგენტოს მოსკოველი კორესპონდენტი კესიდი 5 მარტის სტატიაში, გადმოგვცემს რა საბჭოთა კავშირში თავის დაკვირვებებს, აღნიშნავს, რომ თუ როიდენ დარბევებს უწევს ამერიკა საბჭოთა კავშირს, ასას იცნობს სსრ კავშირის მოსახლეობა, „რადგან რუზველტისა და ჩერჩილის ყველა განცხადებას ამ საკითხზე და მასთან დაკავშირებულ ყველა ციფრს აქვეყნებს საბჭოთა პრესა, ხოლო რუსები გაზეთების გულმოდგინე მკითხველები არიან“. „რუსები, — სწერს კესიდი, — რომლებთანაც მე შემთხვევა მქონდა მესაუბრნა, აშკარად აცხადებდნენ, რომ ისინი მეტად მაღალ შეფასებას აძლევენ ამერიკის დახმარებას“.

„ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბიუნის“ კორესპონდენტმა ჰინდუსმა, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ დაბრუნდა მოსკოვიდან, რადიოთი გამოსვლისას გამოაცხადა, რომ არ ეთანხმება სტენდლის განცხადებას. ჰინდუსმა აღნიშნა, რომ რუზველტის განცხადებებს საბჭოთა კავშირისადმი დახმარების შესახებ ფართოდ აქვეყნებს საბჭოთა პრესა, რომელიც არ ათავსებს ცნობებს იმის შესახებ, რაც ფრონტზე იგზავნება, ვინაიდან ეს სამხედრო საიდუმლოებას წარმოადგენსო.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 10 მარტი (საკდესი). რეიტერის საგენტო გადმოგვცემს ცნობას თავისი ვაშინგტონელი კორესპონდენტისას, რომელიც აღნიშნავს, რომ უელესის განცხადებას ისე აფასებენ ვაშინგტონში, როგორც სტენდლის პოზიციის დაგმობას, კორესპონდენტის სიტყვით, ვაშინგტონის დიპლომატიური წრეები ფიქრობენ, რომ უელესის მიერ ამერიკის თავადრობის პოზიციის სწრაფი განმარტება ახალი დამადასტურებელი საბუთია იმისა, რომ ამერიკას სურს მთლიანად ითანამშრომლოს საბჭოთა კავშირთან არა მარტო ახლა, არამედ ომის შემდეგაც.

ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ ᲐᲕᲘᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 10 მარტი (საკდესი). როგორც ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო გადმოგვცემს, 9 მარტს დღისით ინგლისის „სპიტფაირი“ ავიაგამანადგურებლები რამდენჯერმე დაესხნენ თავს ჩრდილოეთ საფრანგეთს. 9 მარტს საღამოს ინგლისის „მოსკიტო“ ბომბდამშენებმა იერიშები მიიტანეს რკინიგზის ცენტრზე ლა მანშის ახლოს. ბომბარდირების შედეგად აღნიშნულია აფეთქებანი.

ᲨᲕᲔᲪᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲝᲡᲚᲘᲡ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲗᲘᲗᲘᲗᲛᲭᲠᲘᲜᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲕᲔᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲠᲘᲗᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲦᲕᲔᲕᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ

ᲡᲢᲝᲙᲰᲝᲚᲛᲘ, 10 მარტი (საკდესი). გაზეთი „სტოკჰოლმს ტიდნინგენი“ იუწყება, რომ შვეიცარიის საგარეო საქმეთა სამინისტროს დავალებით, შვეიცარიის საელჩომ ბერლინში პროტესტი განაცხადა გერმანიის თვითმფრინავების მიერ 6 მარტს შვეიცარიის საზღვრების დარღვევის წინააღმდეგ.

შვეიცარიის თავდაცვის შტაბის საჰაერო თავდაცვის განყოფილება იუწყება, რომ 8 მარტს გერმანიის თვითმფრინავებმა იერიში მიიტანეს ბომბდამშენებმა ბერნის ტერიტორიაზე. ექვსი ადამიანი დაიჭრა.

ᲓᲐᲙᲐᲒᲣᲚᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲙᲐᲠᲘᲖᲚᲐ ᲓᲐ ᲚᲘᲝᲜᲨᲘ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 11 მარტი (საკდესი). როგორც აფის საგენტო გადმოგვცემს, პარიზში ფრაზად დაძაბული მდგომარეობა შეიქმნა. გერმანელები იძულებული გახდნენ ქალაქის ბევრ ქუჩაში ბარიკადები მოეწყოთ. გერმანელთა მთელ რიგ ყაზარმებს შემოვლებული აქვს ეკლიანი მავთული და ქვიშიანი ტომრები. შესაძლო მღელვარების თავიდან ასაცილებლად, პარიზში ტანკები გაგზავნეს. ამას წინათ ქალაქში „სს“-ელთა ორი პოლკი ჩავიდა.

როგორც იუწყებიან, ფრანგი პატრიოტების აქტივობის გაძლიერება გამოწვეულია ლავალის უკანასკნელი შეთანხმებებით გერმანიაში ასეულათასობით ფრანგი მუშის იძულებით გაგზავნის შესახებ.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 11 მარტი (საკდესი). ბერძენი საფრანგეთის შტაბის ცნობით, ლიონის ერთ-ერთ მუშათა უბანში თავს დაესხნენ ქუჩაში მიმავალ გერმანელ ჯარისკაცთა კოლონას, რომლებსაც ხელის გრანატები დაუშინეს. გერმანელებმა ასტეხეს ავტომატების უწესო-რიგო სროლა, რომლის დროსაც მოჰკლეს ორი გამვლელი. პატრიოტებმა მოჰკლეს და დაჭრეს 29 გერმანელი ჯარისკაცი. ქალაქის ყველა სახლში საყოველთაო ჩხრეკას ახდენენ.

ᲛᲝᲥᲐᲕᲨᲘᲠᲗᲗᲐ ᲐᲕᲘᲐᲪᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲤᲚᲝᲒᲘᲡ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ

Ლ.ᲜᲓᲝᲜᲘ, 11 მარტი (საკდესი). როგორც რეიტერის საგენტო გადმოგვცემს, 9 მარტს ინგლისის თვითმფრინავებმა იერიში მიიტანეს რკინიგზის ობიექტებზე ჟენევულ სიცილიის სამხრეთ ნაწილში. დაზიანებულია მოძრავი შემადგენლობა და მთელი რიგი სარკინიგზო ნაგებობანი.

იმავე დღეს ინგლისის ხომალდებმა ჰოლანდიის სანაპიროსთან ჩასძირეს ერთი ტანკერი და სერიოზულად დააზიანეს რამდენიმე სხვა გემი.

ᲫᲕᲔᲚᲘᲐ, 11 მარტი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიუროს განცხადებით, ინგლისს ავიაციის თავდასხმის შედეგად გენუაში დაზარალებულია 6.121 საცხოვრებელი სახლი, მათგან 5.642—ქალაქის ცენტრში.

ᲓᲔᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲖᲠᲓᲐ ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲨᲘ

ᲡᲝᲤᲘᲐ, 11 მარტი (საკდესი). როგორც ბულგარული პრესა იუწყება, ბულგარეთში ფართოდ არის გავრცელებული „დემარცხების განწყობილება“. გაზეთი „დნესი“ ბულგარელ მოსახლეობას სამ ჯგუფად ჰყოფს. პირველ ჯგუფს, გაზეთის სიტყვით, ეკუთვნიან ის ადამიანები, რომლებიც „ცინიკურ გულგრილობას“ იჩენენ მთავრობის პოლიტიკისადმი; მეორე ჯგუფი ბულგარეთის პოლიტიკას „შემცდარად“ სთვლის და ამით „სწამლავს გარეშემო მყოფთ“; მესამე ჯგუფი, როგორც გაზეთი აღნიშნავს „შეგნებულად, ეგმის მიხედვით ეწევა ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას და არყევს სახელმწიფოებრივ საფუძვლებს“. გაზეთი მოითხოვს ულმობელ ბრძოლას ყველა ამ პირთა წინააღმდეგ.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲦᲘᲠᲡᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲒᲐᲜᲫᲘ

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ გამოსცა „ქართლის ცხოვრება“ — კრებული ჩვენი ძველი ისტორიკოსების თხზულებებისა.

ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი სულიერი ცხოვრების ერთ-ერთ ... ...